კვლევა 1

მიზანი: ადგილობრივი საჭიროებებისა და შესაძლებლობების დადგენა

კვლევა ჩატარდა სხვადასხვა მიმართულებებით

I კვლევის მიზანი: სკოლის ფუნქციონირების საჭიროების დადგენა

კვლევაში მონაწილეობდა 10 მასწავლებელი, 10 მშობელი, 10 კურსდამთავრებული D10 პენსიონერი მასწავლებელი.

კვლევის მეთოდები: ინტერნეტ გამოკითხვა (ანონიმურობა დაცული იყო)

საკვლევი კითხვები:

1. საპატრიარქოს დაქვემდებარებული სკოლა ხიჭაურში არსებობს 2010 წლიდან, როგორ შეაფასებთ მისი ფუნქციონირების საჭიროებას?

კვლევის შედეგები:

ა) ზემო აჭარის ისტორიულ წარსულში ქრისტიანული სარწმინოების , ქართული სულისა და გენის გადასარჩენად თავგანწირული ათასობით ადამიანთა ხსოვნის პატივსაცემად, ზნეობრივი, გონიერი მამულიშვილის აღზრდის კერა;

ბ) ზოგადი განათლების გარეშე არ დარჩნენ ბავშვები;

დ) საკუთარი პრესტიჟისათვის



დასკვნა: სკოლის არსებობა ხიჭაურში გამოკითხულთა უმრავლესობას მიაჩნია, როგორც წარსულის გამოძახილი, წინაპრების პატივისცემის გამომხატველი, გონიერი ზნეობრივი მამულიშვილის აღზრდის კერა.

კვლევა 2

II კვლევის მიზანი: მშობელთა მიერ სკოლის არჩევანის საჭიროების დადგენა

კვლევაში მონაწილე 45 მშობელი (15-I საფეხურის მოსწავლეთა მშობელი, 15 - II საფეხურის, ხოლო III საფეხურის. მეთოდი - ანკეტური გამოკითხვა. (ანონიმურობა დაცული იყო.

საკვლევი კითხვები

1. რით არის მისაღები, მიმზიდველი შენთვის სკოლა?

ა) გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობა I-VI კლასებში

დიახ, არა

ბ) საგნების სწავლება II - IIIს საფეხურზე. შეგიძლია ჩაწერო რატომ?

დიახ არა

რატომ? .....

გ) საგნობრივი წრეები (სასწავლო საგნებში, სპორტში.

დიახ, არა

დ) სახელოვნებო წრეები (დაზგური, ქარგვა, ხეზე კვეთა, ცეკვის სიმღერის)

დიახ, არა

ე) მასწავლებელთა სტატუსი, ავტორიტეტი?

დიახ, არა

ვ) სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა აქტიური ჩართვის შესაძლებლობა?

დიახ, არა

კვლევის შედეგები





რატომ? მოეხსნათ ძირითადად, მცირე გამონაკლისის გარდა რეპეტიტორების დაქირავების პრობლემა





დასკვნა: სკოლის შესაძლებლობებიდან მხარდაჭერილი იქნა: გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობა, საგნების გაძლიერებით სწავლება, მასწავლებელთა სტატუსი, ავტორიტეტი.

სარგებელი: დასაქმებული მშობლების ხელშეწყობა გახანგრძლივებულ დღის ჯგუფების მუშაობით, რეპეტიტორების პრობლემის მოხსნა ოჯახებისთვის.

კვლევის შედეგების დადგენის შემდეგ ჩატარდა რეპეტიტორებთან შეხვედრა, გავაცანით შედეგები. დიალოგში გამოიკვეთა, რომ ბავშვები დაცულად და უსაფრთხოდ მიაჩნიათ. სხვადასხვა აღმსარებლობის ბავშვები სწავლობენ კეთილგანწყობით, მშვიდობიან გარემოში. ბავშვებს სკოლაში წამოსვლა უხარიათ და სახლში კარგ, მშვიდ ხასიათზე ბრუნდ

მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა

2021 წელი სექტემბერ-ოქტომბერი

კლასი-I

დამრიგებელი - მარიამ(ლუიზა) გორგილაძე

თემა: სკოლასთან შეგუების პროცესის მართვა მოსწავლეთა სჭიროებების მიხედვით

კვლევის მიზანი: დადგინდეს სკოლისათვის მოსწავლეთა მზაობის ხარისხი და ამის საფუძველზე დავგეგმოთ კლასის მართვა სწავლების დაწყების პირველ სემესტრში.

კვლევაში მონაწილენი: I კლასის მშობლები,საგნის მასწავლებლები,მოსწავლეები

კვლევის მეთოდი: ინტერვიუ,დაკვირვება,დოკუმენტების ანალიზი

კვლევის ჩატარების დრო:15-20 სექტემბერი,4-10 ოქტომბერი.

საკვლევი კითხვები:

1. როგორია მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა?
2. ხომ არ ვლინდება ქცევითი პრობლემები?
3. რამდენს აქვს გავლილი სასკოლო მზაობის პროგრამა საბავშვო ბაღში?
4. ჰყავთ თუ არა უფროსი და-ძმა სკოლაში?
5. რა განწყობა აქვთ ბავშვებს სკოლაში წამოსვლამდე?

I საკვლევი კითხვის მიხედვით შდეგები ასეთია:

მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა

ა)სრულიად ჯანმრთელია100%

ბ)აქვს ჯანმრთელობის პრობლემები-0%

გ)ოჯახში გადატანილი აქვთ კოვიდინფექცია-60%

ამრიგად,პირველ კლასში მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა კარგია.ფიზიკური და გონებრივი განვითარება შეესაბამება ასაკობრივ თავისებურებებს.

II საკვლევი კითხვის მიხედვით მოსწავლეთა ქცევა:

ა)ქცევა ასაკის შესაფერისია-95%

ბ)ავლენს ქცევის თავისებურებებს სხვა ბავშვებთან ურთიერთობაში-0%

გ)ავლენს თავისებურებებს დავალებული ინსტრუქციის შესრულებისას-5%

დ)ავლენს თავისებურებებს შესვენებაზე,თავისუფალ დროს-0%

ამრიგად,მოსწავლეთა ქცევა ასაკის შესაბამისია.ვლინდება მცირე თავისებურება დავალების შესრულებისას(შესასრულებლად მიმართავს თავისებურ ხერხს).

III საკვლევი კითხვის მიხედვით,სასკოლო მზაობის პროგრამის გავლის ვითარება ასეთია:

1)სასკოლო მზაობის პროგრამა გაიარა 5 წლის ასაკიდან

ა)შეწყვეტილად 100% ბ) სრულად-0%

2)სასკოლო მზაობის პროგრამა არ გაუვლია-0%
ამრიგად,სასკოლო მზაობის პროგრამა გაიარეს მოსწავლეების 100%-მა ნაწილობრივ,რაც განაპირობა პანდემიურმა სიტუაციამ.
IV საკვლევი კითხვის კვლევის შედეგი
ამავე სკოლაში უფროს და-ძმასთან ურთიერთობა
1)ჰყავთ ამავე სკოლაში
ა) და -16,7 %
ბ)ძმა -83,3%
2) უფროს და-ძმასთან მიჯაჭვულობის ხარისხი
ა)ყოველ დასვენებაზე გარბიან უფროს და-ძმასთან-0%
ბ)თანაკლასელებისგან თუ რამე ეწყინა ემუქრება უფროსი და-ძმით-0%
გ)უფროს და-ძმასთან მიდიან გაკვეთილების დამთავრების შემდეგ-50%

V საკვლევი კითხვის მიხედვით კვლევის შედეგი
სკოლაში წამოსვლისადმი მოსწავლეთა განწყობა:
ა)სკოლაში მოდიან ხალისით-100%
ბ)სკოლაში წამოსვლა არ სურთ-0%
გ)სკოლაში მოდიან იმიტომ,რომ მშობლებს ასე სურთ-0%
ამრიგად,მოსწავლეთა სკოლაში წამოსვლის სურვილი უმაღლესია.

კვლევის შდეგების ანალიზის საფუძველზე სადამრიგებლო საქმიანობაში დავგეგმე აქტივობები:

- ყოველდღიურ საქმიანობაში:
  მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე მუდმივი მეთვალყურეობა ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად.
  ა)ავადმყოფის მოკითხვა ტელეფონით
  ბ)ეცადოს თავისი ქცევით მხოლოდ სიხარული მოუტანოს ოჯახის წევრებს(სიხარულის განცდა ჯანმრთელობის ხელშემწყობია)

- მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის აქტივობები
  - ✓ მშობელთა პედაგოგიური ცნობიერების ამაღლების მიზნით საუბრების ჩატარება(გამოვლენილი პრობლემების მიხედვით)
  - ✓ გამოფენაში ,,ქაღალდის ხელოვნება“მშობელთა ჩართულობა

- საგნის მასწავლებლებთან დიალოგი:მოსწავლის ქცევითი პრობლემა გამოწვეულია გარემოს ცვლილებებით თუ სპეციალისტის ჩარევის საჭიროებას ხედავთ?

- სადამრიგებლო საათის აქტივობები:

  - ✓ მხიარული სტარტები:,,ჩვენ და ჩვენი და-ძმები
  - ✓ ,,ლექსებს და სიმღერებს შევასრულებთ თქვენთვის“
  - ✓ შემეცნებითი საათი:,,ის,რაც საბავშვო ბაღში ვისწავლე და მჭირდება ახლა“
  - ✓ ნახატების გამოფენა ,,მე მივდივარ სკოლაში“

შენიშვნა:განხორციელებულ საქმიანობის ეფექტს ჩავწერ პირველი სემესტრის შემდეგ.

მშობელთა ჩართულობის კვლევა III კლასი

კლასის დამრიგებელი - იაგო დავითაძე

2021 წელი სექტემბერი/ოქტომბერი

საკვლევი თემა: სსაკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობის გაცნობიერება

კვლევის მიზანი: დადგინდეს მშობელთა კმაყოფილების ხარისხი. ამ ხარისხის საფუძველზე დავგეგმოთ კლასის მართვა სწავლების დაწყების პირველ სემესტრში.

საკვლევი კითხვები, რა ფაქტორები განსაზღვრავს რა ფაქტორები განსაზღვრავს მშობლის სასწავლო პროცესში ჩართულობას?

რა ფაქტორები უშლის ხელს მშობელს -იყოს ჩართული შვილის სასწავლო პროცესში?

კვლევაში მონაწილეები: III კლასის მშობლები, საგნის მასწავლებელი, მოსწავლეები.

მოსალოდნელი მეთოდი: ინტერვიუ, დაკვირვება, დოკუმენტების ანალიზი.

კვლევის ჩატარების დრო: 20-25 სექტემბერი, 5-10 ოქტომბერი.

საკვლევი კითხვები:

მოსალოდნელი შედეგი: მშობელთა ჩართულობის გაზრდა, ცოდნის დონის ამაღლება, კითხვარების შევსება, მშობლებთან კომუნიკაციის ეფექტური სტრატეგიები.

კვლევის პროცედურა; გამოვიყენოთ „კარგი სკოლა“ ვებგვერდით შემოთავაზებული კითხვარი.

კითხვარი მომზადდა III კლასის ყველა მოსწავლის მშობლისა და კანონიერი მეურვისათვის. დროის დაზოგვის მიზნით კითხვარები ყველა მშობელს გაეგზავნა სახლში და მეორე დღეს უკან დააბრუნეს შევსებული.

გთხოვთ, დაუთმოთ რამდენიმე წუთი ამ კითხვარის შევსებას და ხელი შეგვიწყოთ ჩვენი პარტნიორობისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებაში. ეს დაგვეხმარება, უზრუნველვყოთ, რომ თქენს ბავშვს ჰქონდეს სწავლის საუკეთესო გამოცდილება. თქვენი მონაწილეობა კვლევაში არის ნებაყოფლობითი. შედეგები აისახება მხოლოდ შემაჯამებელ ფორმაში; საჭიროების შემთხვევაში იქნება ანონიმურობა.

1. **ჩემი ბავშვი სწავლობს:**

☐ პირველ კლასში

☐ მე-2 კლასში

☐ მე-3 კლასში

☐ მე-4 კლასში

2. **როგორ უნდა დაეხმაროთ თქვენს ბავშვს**

კვლევის ამ ნაწილში ჩვენ გვაინტერესებს თუ რა ინფორმაცია სჭირდებათ მშობლებს, შვილების წარმატებულ მოსწავლეებად ჩამოყალიბებაში. რომელ საკითხზე გსურთ უფრო მეტი ინფორმაციის მიღება, რათა უკეთ შეგეძლოთ თქვენი შვილის დახმარება სწავლისას?

რომელ საკითხზე გსურთ უფრო მეტი ინფორმაციის მიღება, რათა უკეთ შეგეძლოთ თქვენი შვილის დახმარება სწავლისას?

	ნაწილობრივ საინტერესოა	ძალიან საინტერესოა	საჭიროებს გაუმჯობესებას
ბავშვის განვითარება			
ბავშვებთან კომუნიკაცია			
როგორ დაეხმაროთ ბავშვებს შინ სწავლის პროცესში			
მოსწავლის თვითპატივისცემა			
ზეწოლა თანატოლების მხრიდან			
ჯანმრთელობა და კვება			
ქცევის წესები			
თანასწორობა და ჩართულობა			
ბავშვების სწავლისთვის მოტივირება			
დროის განაწილების უნარები			

3. **კომუნიკაცია.**

ჩვენ გვსურს, გვქონდეს თქვენთან გასაგები კომუნიკაცია და გვსურს, რომ თქვენ გქონდეთ ჩვენთან კომუნიკაციის საშუალება. კვლევის ეს ნაწილი ეხება სკოლაში არსებული კომუნიკაციის ფორმების ეფექტიანობას და მათ გამოყენებას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩამოთვლილია ის გზები, რომლებითაც სკოლები ამყარებენ კომუნიკაციას მშობლებთან. გთხოვთ, შეაფასოთ თქვენს სკოლაში არსებული კომუნიკაციის ამ ფორმების ეფექტურობა.

	ეფექტურია	ნაწილობრივ ეფექტურია	არ ვიცი	პასუხი არ არის
სასკოლო საინფორმაციო ბიულეტენი				
მშობელთა და მასწავლებელთა კონფერენციები				
სკოლის ვებ-გვერდი				
სატელეფონო საუბრები				
სასკოლო განცხადებების დაფა				
ელექტრონული ფოსტა				
ტექსტური შეტყობინებები (SMS)				

გთხოვთ, მოგვაწოდოთ კომენტარი კომუნიკაციის ნებისმიერ სხვა საშუალებაზე, რომლის სკოლაში გამოყენების მიზანშეწონილობის განხილვასაც ისურვებდით:

_____

4. რამდენად ხშირად:

	ზოგჯერ	ხშირად	ყოველთვის
მიმართავთ სკოლას თქვენი ბავშვის თაობაზე			
ესწრებით მშობელთა კრებებს			
ამოწმებთ თქვენი ბავშვის საშინაო დავალებას			
ესაუბრებით თქვენი ბავშვის მასწავლებელს			
ესწრებით განსაკუთრებულ ღონისძიებებს (კონცერტები, წარმოდგენები)			
სტუმრობთ სკოლის ვებგვერდს			

5. სწავლის პროცესი შინ.

სწავლება ხორციელდება სკოლასა და სახლში. კვლევის ეს ბოლო ნაწილი ეხება თქვენს ჩართულობას თქვენი შვილის მიერ საშინაო დავალებების მომზადების პროცესში. შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემის დროს ფოკუსირება მოახდინეთ მხოლოდ ერთ ბავშვზე, რომელიც ამ სკოლაში სწავლობს.

რამდენად ხშირად იღებთ თქვენს ბავშვთან ერთად მონაწილეობას შემდეგ აქტივობებში?

	ზოგჯერ	ხშირად	ყოველთვის	პასუხია არ არის
დახმარება კითხვის უნარების განვითარებისთვის				
დახმარება წერის უნარების განვითარებისთვის				
დახმარება მათემატიკური უნარების განვითარებისთვის				
საშინაო დავალების გაკეთება				
საშინაო დავალების შემოწმება				
ბავშვისთვის მასწავლებლის აყვანა				

კიდევ რა აქტივობებში იღებთ მონაწილეობას თქვენი ბავშვის სასწავლო გამოცდილების გასამდიდრებლად (მაგ.: ბიბლიოთეკაში სიარული, განსაკუთრებული ინტერესებისა თუ ჰობის წახალისება)

დასკვნა

ონლაინ პლატფორმაზე სწავლების დროს მშობლების აბსოლუტური უმრავლესობისათვის შვილების სასკოლო ცხოვრების შესახებ ინფორმაციის მიღება კომფორტული და მოსახერხებელი იყო ტელეფონით, სოციალური ქსელებით, მარამ ახლა როდესაც ბავშვები დაუბრუნდნენ სასკოლო გარემოს, მიუხედავად მიწოდებული დეტალური ინფორმაციისა, რამდენიმე მშობელი გამოთქვამს აზრს იმის შესახებ, რომ სკოლაში ვიზიტიც აუცილებელია სხვა მასწავლებლების ნახვის მიზნით.

სკოლის წარმატებული მუშაობისათვის აუცილებელია საზოგადოებასა და მშობლებთან მჭიდრო თანამშრომლობა. მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის, მათი პიროვნული ჩამოყალიბებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია სკოლასა და მშობლის ურთიერთობაში არსებული ბარიერის დაძლევა, მშობლის ნეგატიური დამოკიდებულების შეცვლა. კვლევით დადგინდა, რომ როდესაც მშობელი ჩართულია შვილის განათლების პროცესში, მოსწავლეს აქვს მაღალი აკადემიური შეფასებები, დასწრების მაჩვენებელი და ხარისხიანად შესრულებული დავალებები; ის გამოირჩევა სკოლისადმი გულშემატკივრობით, კარგი დისციპლინით, პასუხისმგებლობით, ობიექტური თვითშეფასების უნარით .
აღინიშნა, რომ კვლევის პროცესი საინტერესო არმოჩნდა და კითხვარის შევსენისას უკეთ გააცნობიერეს სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის აუცულებლობა.

„მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა“

VI კლასის სადამრიგებლო საქმიანობის დაგეგმვისათვის მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა

კლასის დამრიგებელი დედა ბარბარე

მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზანი:

სადამრიგებლოს საათის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის ხარისხის ამაღლება.

საკვანძო შეკითხვები:

- როგორია მოსწავლის დამოკიდებულება თანატოლებთან? უფროსებთან? მშობლებთან?
- რომელ ღირებულებებს ანიჭებენ უპირატესობას?
- შეუძლიათ საკუთარი ქცევის მართვა?
- გაცნობიერებული აქვთ პასუხისმგებლობა საკუთარ სწავლაზე?
- რა დონეზე ფლობენ სოციო-ემოციურ უნარებს?
- როგორ აისახება საგაკვეთილო პროცესის პირობების ცვლა (ონლაინ პლატფორმა, საკლასო ოთახი) მოსწავლის განწყობაზე, ინტერესებზე, მისწრაფებებზე?

მონაცემების მოპოვების, შეგროვებისა და ანალიზის ფორმები:

- დიაგნოსტიკური ტესტები
- მოსწავლეთა ქცევაზე დაკვირვება (შესვენებაზე, ეზოში, ქუჩაში, ღონისძიებებზე)
- მშობლებისაგან მიღებული ინფორმაცია
- სასწავლო პროცესზე დაკვირვება

საქმიანობის დამადასტურებელი ფორმა:

- პორტფოლიოს წარმოება

საჭიროებების დადგენისათვის განხორციელებული კვლევა და კვლევის შედეგების შესაბამისი ღონისძიების დაგეგმვა.

კვლევის მიზანი-მოსწავლეთა განწყობაზე, ინტერესებსა და მისწრაფებებზე საგაკვეთილო პროცესის პირობების გავლენის ასახვა.

I ეტაპი - კვლევის მიზანი:

- ონლაინ სწავლებისათვის მზაობის ხარისხის დადგენა
- კვლევის მეთოდის გამოკითხვა
  კვლევაში მონაწილეები: VI კლასის მოსწავლე - 5
  VI კლასის მშობელი - 5

საკვლევი კითხვები:

ა) გაქვთ თუ არა ინტერნეტთან წვდომა?

დიახ არა

ბ)ონლაინ პლატფორმაზე ჩართვას რითი გეგმავთ?

კომპიუტერული ტექნიკით ? ტელეფონით?

გ) გაქვთ საკუთარი სამუშაო სივრცე მოსახერხებელი?

დ) ითვალისწინებთ მოსალოდნელ შეფერხებებს?

ე) გჭირდებათ ინლაინ სწავლისა და შეფასების ინსტრუმენტების (მეთოდების) დაუფლების გაუმჯობესება!

კვლევის შედეგების მიხედვით:

ა) ინტერნეტის წვდომა აქვთ - 5(ყველას)

ბ) ონლაინ პლატფორმაზე ჩართვას კომპიუტერით გეგმავს 4, ტელეფონით 2 (არ ცვლილებას მშობლების ხარისხიანი ტელეფონის ხარჯზე).

გ) საკუთრი სამუშო სივრცე (ოფისი აქვს) 4

სარგებლობენ ოჯახის სამუშაოს საერთო სივრცით 1

მოსალოდნელ შეფერხებებს (ინტერნეტის ხარვეზი (უმეტესად დაბალი სიხშირე), ელექტრო დენის გათიშვა, ჯანმრთელობა) ითვალისწინებს კვლევა - 5.

აღნიშნავენ,რომ ინფორმირებული არიან მასწავლებლებისგან თუ რა გააკეთონ შეფერხების დროს.(შეთანხმდეს დამატებითი კონსულტაციაზე,მიიღოს და გასცეს ესემეს შეტყობინება და სხვა).

ონლაინსწაბლების და შეფასების ისტრუმენტებზედაუფლების გაუმჯობესებებისსაჭიროებას ხედავს ყველა-5.

კვლევის შედეგების შესაბამისად სადამრიგებლო დასკვნა:

ონლაინსწავლებისთვის მოსწავლეებს მოწესრიგებული აქვთ ნორმალური პირობები,

საათში შევა საკითხი:

<ონლაინსწავლება და შეფასების ინსტრუმენტები.

,,ღია წიგნის გამოცდა“,,,პირდაპირი ტრანსლაცია“,,,ონლაინპრეზენტაცია“.

II ეტაპი:

კვლევის მიზანი:მოსწავლეთა დამოკიდებულებებზე,საგაკვეთილო პროცესების პირობების ცვლის გავლენის შესწავლა.

კვლევის მეთოდი:გამოკითხვა

კვლევაში მონაწილეობს 5 მოსწავლე,

მეთოდი,კითხვის შეფასება, ღია და დახურული შეკითხვები

ჩატარების დრო: 15 ოქტომბერი

კითხვარი

შეკითხვები	დიახ	არა	ნაწილობრივ
გერჩივნა ონლაინ სწავლებაზე დარჩენა?			
გაკვეთილის დაწყებისთვის უკეთესი განწყობა როდის გაქვთ? ა)ონლაინ სწავლებისას ბ) საკლასო ოთახში სწავლებისას ჩაწერე შენი აჩვანის მოტივი (ჩაწერე...)			
რა იყო შენი ინტერესი ონლაინ სწავლების პირობებში (ჩაწერე...) რა იყო შენი ინტერესი საკლასო ოთახში სწავლებისას? (ჩაწერე...)			
ონლაინ სწავლებისას, რას ნატრონდით (ჩაწერე)			

საკლასო ოთახში სწავლებისას რაზე ფიქრობთ ყველაზე მეტად (ჩაწერე...)			
შენზე რომ იყოს არჩევანი დამოკიდებული, რომელს აირჩევდით? ა)ონლაინ სწავლებას ბ)საკლასო ოთახში სწავლებას.			

კვლევის შედეგების ანალიზი

1. უპირატესობა საკლასო ოთახში სწავლას მიანიჭეს

2. საკლასო ოთახში სწავლის განწყობას უქმნის მეგობრები,მასწავლებლებთან ახლოს ყოფნა,ერთად თამაშის შესაძლებლობები.

3.ონლაინ საწავლებისას მთავარი ინტერესი იყო:დროულად ჩართვა,მოსმენის ხარისხი,აქტიურობა,თავის მოწონება მშობლის წინაშე.

საკლასო ოთახში სწავლებისას მთავარი ინტერესის გარდა ჯანმრთელობის უსაფრთხოება,

გაკვეთილის სკოლაში დასწავლა.

4.ონლაინსწავლების პირობებში ნატრობდნენ შესვენებებზე ერთად თამაშს,წყვილებში ან ჯგუფში დავალებების შესრულებას და პრეზენტაციას,სხვა კლაასის ბავშვებთან თამაშს:აღნიშნავენ გაუცხოებას ერთმანეთის მიმართ.

5.სავსე ოთახში სწავლებისას ყველაზე ხშირად ფიქრობენ პირბადის მოხსნაზე,დისტანციის დაცვაზე,არ დაავადდეს ვინმე კლასში ავადმყოფობით.

6.არჩევანს ყველა აკეთებს საკლასო ოთახში სწავლაზე.

კვლევის შედეგების ანალიზის გათვალისწინებით,სადამრიგებლო საქმიანობაში დაიგეგმა აქტივობები:

<,,ვიზრუნოთ ერთმანეთზე“.

<,,იმ ადგილის ჭირიმე ,სადაც შენ გამახსენდები“.

<,,რა ვუყოთ ემოციებს“.

<,,ვაჩუქოთ ერთმანეთს ნახატები,ლექსი,სიმღერა“

მშობელთა საჭიროების კბვლევა XI კლასში

კლასის დამრიგებელი ცისნამი ბერიძე 2021 წელი, ოქტომბერი

საკვლევი თემა: კეთილგანწყობილი სასწავლო გარემოს შექმნა მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით

კვლევის მიზანი: სადამრიგებლო საათის აქტივობები შევარჩიო, დავგეგმო მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით.

კვლევეში მონაწილენი: XI კლასის 14 მოსწავლე, 7 ვაჟი, 7 გოგონა,

კვლევიე მეთოდი: დაკვირვება, ჩანაწერების გაკეთება, ინტერვიუ

კვლევის ჩატარების დრო : ოქტომბერი

საკვლევი კითხვები:

I საკვლევი საკითხი

1) საკლასო ოთახში დაბრუნების შემდეგ რა ცვლილებებს და თავისებურებებს ვამჩნევ.

2) როგორია დამოკიდებულება ა) გოგონებსა და ვაჟებს ბ) გოგონებს, გ) ვაჟებს შორის.

II საკვლევი საკითხი.

თუ პრობლემა წარმოიშვა ურთიერთშორისას მოგვარებისათვის რას აირჩევენ

ა) პრობლემების მოგვარებაში ჩაერიოს მასწავლებელი

ბ) პრობლემების მოგვარებაში ჩაერიოს მშობელი

გ) პრობლემა მოაგვარონ თვითონ.

I საკვლევი კვლევის კითხვის მიხედვით კვლევის შედეგი.

საკლასო ოთახში დაბრუნების შემდეგ დავაკვირდი მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებას, გამოვიყენე ჩანაწარის დაკვირვების მეთოდი. ვაკვირდებოდი შესვენებაზე, საჰაკვეთილო პროცესში, გზაზე სკოლაში მისვლისას და წასვლის პროცესში, მონაცემების შეგროვებით გავაკეთე ანალიზი: ა) არდადეგებმა

და ონლაინ სწავლების პირობებმა ასაკობრივ თავისებურებებზე მკაფიო გავლენა იქონია. მეტი ყურადღება აქვთ გადატანილი ჩაცმაზე, თმის ვარცხნილობაზე. ტავიანთ დამოკიდებულებებს ამჟღავნებენ პირადად კომპლიმენტის თქმით. პირსუკან ლაპარაკიც აღინიშნა. ხშირად არასასურველი.

გოგონათა ერთ ჯგუფს რაღაც „საიდუმლო“ სათქმელი აქვთ ერთმანეთში. თითქმის ყოვედძღიურად იკვეთება ჯგუფური მეგობრობა გოგონებს შორის.

ერთი გოგონა გამოდმებით რაღაცით უკმაყოფილოა, უხასიათოდ არის, განცალკევებით ყოფნას ირჩევს. .

ვაჟებსა და გოგონებს შორის თავაზიანი დამოკიდებულებაა. ვაჟები არ ერევიან მათ საქმეში.მეგობრობა ვერ შევნიშნე, ვაჟები ცალკე არიან, ერთმანეთთან კარგი დამოკიდებულება აქვთ, ჰყავთ ლიდერიც, იგი მშვიდი, კეთილი, წესიერი ბიჭია,

ბ) პრიორიტეტული გახდა ჩაცმა, თმის ვარცხნილობა, ეროვნული გამოცდებისთვის დროული მომზადება.

II საკვლევი კითხვის კვლევის შედეგები

პროგრამის წარმოშობის შემთხვევაში ირჩევენ:

ა) პრობლემის მოგვარებაში ჩაერიოს მასწავლებელი 34%

ბ) პრობლემის მოგვარებაში ჩაერიოს მშობელი 5%

გ) პრობლემა მოაგვარონ თვითონ 61%

კვლევის შედეგების მიხედვით მოსწავლეთა საჭიროების შესაბამისად შევიტანე ცვლილება და დავამატე აქტივობები.

დაჯგუფება არჩევანით

ინსტრუქცია: ჩამოთვლილი თვისებებიდან თქვენი შეხედულებით რომელს მიაკუთვნებთ ვაჟებს, რომელს გოგონებს, დაასაბუთეთ არჩევანი.

- მსჯელობა ა) „სამოსი, რომელმაც შეცვალა მსოფლიომ“ (ჯინსი)

  ბ) „ადამიანის ხასიათი ჩაცმულობაში ვლინდება“

  გ) „მშვენიერება მშბვენიერსა სულში მდგომარებს.“

- კითხვის საათი: გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგება ქალის როლსა და პასუხისმგებლობის შესახებ.
- კონფლიქტი ბავშვებს შორის და მისი მოგვარების გზები.
- მშობელტა საათი, „ვიცნობ თუ არა საკუთარ შვილს“

  რაც შეეხება ეროვნულ გამოცდების დროულად მომზადების საჭიროების ხედვას, საგნის მასწავლებლებთან უკუკავშირით გავაზიარეთ. დირექციამ დაგეგმა დამატებითი მომსახურება.

  აქტივობეის განხორციელებით მიღწეული პირველი შედეგი გამოჩნდა აქტივობებში „დააჯგუფე არჩევანით“ დაჯგუფებას მოჰყვა კამათი, მსჯელობა ცალკეულ თვისებებზე. რატომ არ ჩათვალეთ ეს თვისება გოგონებისთვის /ბიჭებისთვის.დაფიქრდნენ, როგოტრი თვისებების მატარებელი არიან თვითონ. დანარჩენის შესახებ ჩავწერ შემდეგში

VII კლასში აკადემიური მოსწრების ხარისხის შემცირების საჭიროების დადგენა

დაკვირვებამ როგორც , ონლაინში ისე ფიზიკურ გარემოში აჩვენა რომ VII კლასში აკადემიური მოსწრების ხარისხი ადრინდელ წლებთან შედარებით შესუსტდა. მიზნად დავისახე ჩამეტარებინა კვლევა არსებული პრობლემის მიზეზების დასადგენად.

პრაქტიკიდან გამომდინარე გამოჩნდა, რომ მშობლები ნაკლებად იჩენდნენ ინიციატივას სკოლასთან ურთიერთობაში, სკოლას და მშობელს შორის კომუნიკაცია ხორციელდებოდა აუცილებლობის შემთხვევაში სატელეფონო საუბრებით, იშვიათი იყო ინდივიდუალური შეხვედრები. მშობლების მხრიდან უკუკავშირი ნაკლებად ხორციელდებოდა, მშობლები გულგრილად მიუდგნენ ონლაინ სწავლების პროცესს. ეს აისახა მოსწავლეთა შედეგებზეც.

შესაბამისად მიზნად დავისახე :

კვლევის მიზანი:

- მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის ხარისხის დადგენა;
- მონაცემების შეგროვება მშობელთა ჩართულობის შესახებ;
- მშობელთა ცნობიერების ამაღლება;
- მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება;
- მოსწავლეთა და მშობელთა მოტივაციის ამაღლება;
- მოსწავლეებში ქცევის დისციპლინის განმტკიცება.

კვლევის ძირითადი ამოცანები

- კვლევის დაგეგმვა, განხორციელება;
- კვლევის მეთოდების და გზების განსაზღვრა;
- მონაცემების შეგროვება მშობელთა ჩართულობის შესახებ;
- მშობელთა ცნობიერების ამაღლება სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ;
- სკოლის ღონისძიებებში, პროგრამებსა და პროექტებში მშობლების აქტიური ჩართვა;
- სკოლის მართვაში, გადაწყვეტილებების მიღებაში მშობელთა აქტიური მონაწილეობა.

კვლევის ეტაპები:

1. ა. კვლევისათვის კითხვარების შემუშავება
   ბ. მოსწავლეებზე დაკვირვება და ანალიზი;
2. ა. მშობელთა გამოკითხვა-ანკეტირება;
   ბ. მშობელთა მოსწავლეზე დახმარების ხარისხის დადგენა და ანალიზი;
3. მშობელთა სკოლაში ჩართულობის პრობლემის მიზეზები;
4. საერთო კვლევის შედეგების ანალიზი;
5. აქტივობები მშობლების აქტიური ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში;
6. განხორციელებული აქტივობების და ღონისძიებების შემდეგი შედეგი.

I-ეტაპი

მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის ხარისხის დასადგენად მოსწავლეებზე დაკვირვების ცხრილის წარმოება

დაკვირვების ობიექტი: მე-VIIკლასის მოსწავლეები და მშობლები

დაკვირვების ხანგრძლივობა: 30 დღე. 15. 09-დან 15-01-მდე

დაკვირვების ცხრილის ნიმუში

მოსწავლის სახელი და გვარი			**მოსწავლის სწრებადობა**		**რამდენად ასრულებს საშინაო დავალებას**		**რამდენად მიკავშირდება მშობელი**		**რამდენად ხდება უკუკავშირი**	
	N	რიცხვი	ესწრებოდა	არ ესწრებოდა	ქონდა	არ ქონდა	დამიკავშირდა	არ დამიკავშირდა	იყო უკუკავშირი	არ იყო უკუკავშირი
სალომე ბერიძე	1	15-09								
	2	16-09								
	3	19-09								
	4	20-09								
	5	21-09								
	6	22-09								
	7	23-09								
	8	26-09								
	9	27-09								
	10	28-09								
	11	29-09								
	12	30-09								
	13	03-10								
	14	04-10								
	15	05-10								
	16	06-10								
	18	07-10								
	19	10-10								
	20	11-10								
	21	12-10								
	22	13-10								
	23	14-10								

მონაცემთა ანალიზის შედეგების მიხედვით გამოვლინდა მოსწავლეთა მშობლის ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი. რომლის მიზეზების დადგენაში მომდევნო ეტაპის კვლევები დაგვეხმარება.

II-ეტაპი

- მშობელთა გამოკითხვა-ანკეტირება;
- მშობელთა მოსწავლეზე დახმარების ხარისხის დადგენა და ანალიზი;

მონაცემთა ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე დადგინდა, რომ მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია.

შემდეგი ამოცანა მიზეზების დადგენაა, რის გამოც მიზნად დავისახე გამერკვია რამდენად იცნობენ თავიანთ შვილებს და დახმარებიან თუ არა საშინაო ან სხვა დავალების მომზადებაში.

მეთოდი: ანკეტური გამოკითხვის

მოვამზადე ცხრილი რომელიც ჯერ მოსწავლეებს შევავსებინე, ხოლო შემდეგ თავიანთი შვილების შესახებ იგივე კითხვებით მშობლებს მივმართე.

კითხვები მოსწავლეებისთვის

1. რა არის თქვენი ძლიერი და სუსტი მხარე?
2. რას აკეთებ თავისუფალ დროს?
3. როგორ ფიქრობთ, რომელი საგნის მიმართ იჩენ განსაკუთრებულ ინტერესს?
4. რომელი საჭმელი გიყვარს ყველაზე მეტად?
5. რომელია შენი საყვარელი ლიტერატურული გმირი?
6. რომელი ჟანრის ფილმები გიყვარს?
7. სპორტის ან ხელოვნების რომელი სახეობა, დარგი მოგწონს?
8. ჩემი 2 დადებითი თვისება
9. გეხმარებათ მშობელი (მამა ან დედა) ონლაინი სწავლების დროს ტექნიკური ხარვეზების მოწესრიგებაში

კითხვები მშობლებისთვის

1. რა არის თქვენი შვილის ძლიერი და სუსტი მხარე?
2. რას აკეთებს თქვენი შვილი თავისუფალ დროს?
3. როგორ ფიქრობთ, რომელი საგნის მიმართ იჩენ განსაკუთრებულ ინტერესს თქვენი შვილი?
4. რომელი საჭმელი უყვარს ყველაზე მეტად თქვენს შვილს?
5. რომელია თქვენი შვილის საყვარელი ლიტერატურული გმირი?
6. რომელი ჟანრის ფილმები უყვარს თქვენ შვილს?
7. სპორტის ან ხელოვნების რომელი სახეობა, დარგი მოგწონთ თქვენ შვილს?
8. ჩემი შვილის 2 დადებითი თვისება

9. დახმარებიხართ შვილს ონლაინ სწავლების დროს ტექნიკური ხარვეზების მოწესრიგებაში (ინტერნეტი, ტექნიკა და სხვა)?

დამატებით მშობელთა შვილისა და სწავლისადმი დამოკიდებულების გასარკვევად კითხვარების საფუძველზე ჩატარდა მშობელთა გამოკითხვა.

- ვროგორ ფიქრობთ არის თუ არა გულწრფელი თქვენი შვილი თქვენთან მიმართებაში
- იჩენთ თუ არა სიმკაცრეს თქვენი შვილის მიმართ
- დახმარებიხართ გამოცდების მომზადებაში
- დახმარებიხართ საშინაო დავალების მომზადებაში
- შეგიქიათ თქვენი შვილი დავალების კარგად შესრულებისათვის?
- ინტერესდებით და არკვევთ ვისთან მეგობრობს თქვენი შვილი?
- იცით თუ არა სად და ვისთან ერთად ატარებს თავისუფალ დროს თქვენი შვილი
- გიმსჯელიათ შვილთან ცხოვრებისეულ საჭირბოროტო საკითხებზე?
- რთავთ თუ არა შვილებს ოჯახურ საქმიანობაში? გადაწყვეტილებების მიღების პროცესში
- ინტერესდებით შვილის სასკოლო ცხოვრებით და ხართ ინფორმირებული სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ?

მშობელთა ჩართულობის პრობლემის გასარკვევად შედგენილი იქნა შემდეგი შინაარსის შეკითხვები

	კითხვები	ყოველთვის	ხშირად	იშვიათად
1	ხართ თუ არა ინფორმირებული სკოლაში მიმდინარე პროცესების, სიახლეების მიმართ?			
2	ინტერესდებით და ეცნობით მოსწავლეების უფლებების და მოვალეობების მიმართ ინფორმაციას. რამდენად იცნობთ სკოლის შინაგანაწესს?			
3	დასწრებიხართ მშობელთა კრებებს?			
4	დასწრებიხართ სასკოლო ღონისძიებებს?			
5	ოდესმე მიგიმართავთ სკოლისათვის რამე ინიციატივით ან წინადადებით?			
6	გიშლით ხელს თქვენი სამუშაო გრაფიკი სკოლასთან ურთიერთობაში?			
7	გიქმნით პრობლემას სკოლიდან თქვენ საცხოვრებლამდე მანძილი სკოლასთან			

	ურთიერთობაში?			

მშობელთა გამოკითხვის ანალიზი სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის პრობლემასთან დაკავშირებით. ანალიზის შედეგების საფუძველზე ჩანს, რომ ყველაზე დიდი პრობლემა მშობელთა მხრიდან მოსწავლის მშობლისა და მასწავლებლის უფლება მოვალეობის არასაკმარისი ცოდნაა., რომელსაც მსგავსი პასუხი გასცა მშობელთა 40%-მა. 30-მა პროცენტმა მიიჩნია, რომ არ ფლობენ სათანადო ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე პროცესებს მიმართ. ნაკლებ ინტერესს იჩენს 20% და მოუცლელობაა მთავარი მიზეზი 10 პროცენტისათვის

გამოყენებული კვლევები ძირითადად აგებული იყო დაკვირვებასა და გამოკითხვაზე.

კვლევებმა აჩვენა მშობელთა სკოლაში ჩართულობის პრობლემის მიზეზები

კვლევის შედეგების ანალიზი

შედეგების განხილვა

კვლევის შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა ძირითადი პრობლემები.

1. მშობლებისა და მოსწავლეების უფლებების და მოვალეობების არასაკმარისი ცოდნა;
2. სკოლაში მიმდინარე სიახლეების შესახებ მშობელთა ნაკლები ინფორმირებულობა;
3. მშობელთა ნაწილის ტექნოლოგიების ნაკლები ფლობა;
4. პედაგოგიური მეთოდებისა და მიდგომების ნაკლები ცოდნა;
5. სასკოლო ცხოვრებისადმი ნაკლები ინტერესი;
6. სკოლაში ჩართულობის გზების შესახებ არასაკმარისად ინფორმირებულობა;
7. სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები;
8. შორი მანძილი საცხოვრებელი ადგილიდან სკოლამდე;
9. მშობელთა მოუცლელობა;

შედეგების ანალიზის შემდეგ მიზნად დავისახე აქტიურად ჩამერთო მშობელი სასკოლო ცხოვრებაში, რაც ხელს შეუწყობს;

- მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მკვეთრად გაუმჯობესებას;
- მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას;
- მოსწავლის სკოლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას;
- დისციპლინის გაუმჯობესებას;
- სკოლისა და მასწავლებლის ავტორიტეტის გაზრდას;
- სკოლის დემოკრატიულობის ხარისხის გაზრდას.

მიზნის განხორციელებისათვის დაისახა შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

1. მშობელთა ცნობიერების ამაღლება სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ.
2. სკოლის ღონისძიებებში, პროგრამებსა და პროექტებში მშობლების აქტიური ჩართვა.
3. სკოლის მართვაში, გადაწყვეტილებების მიღებაში მშობელთა აქტიური მონაწილეობა.

ამოცანების გადასაჭრელად დაიგეგმა შემდეგი აქტივობები რომელიც განხორციელდება ეტაპობრივად?

- სოციალური ქსელში მშობელთა ჯგუფის შექმნა და დროული ინფორმაციის მიწოდება, მიმდინარეობს მსჯელობა, აზრთა გაცვლა სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. იდეებისა და მოსაზრებების გაზიარება და სკოლისთვის მიწოდება;

- მოვიწვევ მშობლებს და ჩავრთავ კვლევაში;

- პროექტების დაგეგმვა და განხორციელება მშობლებთან ერთად;

- სასკოლო ღონისძიებებში მშობლების , მოსწავლეების და მასწავლებლების ერთობლივი მონაწილეობა

  კერძოდ:
- ძველი ხალხური თამაშებზე ინფორმაციის შეგროვება და ერთად თამაში;
- პოეზიის საღამო მშობლებთან ერთად;
- ექსკურსიაზე მშობლებთან ერთად;
- ჩემი (მამიკო, დედიკოს) შესრულებული ნახატი ყველაზე ლამაზია;
- მე და ჩემ მშობლები სოციალურ ქსელში... და სხვა

მოსწავლის საჭიროების კვლევა

I კვლევა ჩაატარა ლიდერ მასწავლებელთა ჯგუფმა და ხარისხის მართვის კოორდინატორმა.

მიზანი: დაადგინეს მოსწავლეთა საჭიროებები დისტანციური სწავლების პირობებში;

კვლევის მეთოდი: ინტერვიუ (ინტერნეტით კლასების მიხედვით);

კვლევაში მონაწილენი: I –XII კლასის მოსწავლეები;

კვლევის პროცედურა: ფოკუს ჯგუფები შეიქმნას ყველა კლასში შემდეგი შემადგენლობებით, კლასის დამრიგებელი, მშობლები.

კვლევის შედეგები:

1. ონლაინ სწავლებისათვის მოსწავლეთა დადებითი განწყობა.
   I. საფეხური- 20%;
   II. საფეხური - 35%;
   III. საფეხური - 45%.

დასკვნა: მოსწავლეთა უმრავლესობის ონლაინ სწავლებისათვის დადებითი განწყობა არ აქვთ. შედეგების გაცნობის შემდეგ შეხვედრებზე დაზუსტდა , რომ ერთმანეთი ენატრებათ, მასწავლებელთან პირად შეხვედრებთან ამჯობინებენ, სასკოლო გარემოში თავს კომფორტულად გრძნობენ სწავლასთან მიმართებაში.

2. ონლაინ სწავლებისათვის მზაობა (ტექნიკური საშუალებები, ინტერნეტ წვდომა, ელექტრონული ინსტრუმენტების (მეთოდების ფლობა).

კვლევის შედეგები:

ტექნიკური საშუალებები აქვთ 99%, მათ შორის

ა) ოჯახში რამდენიმე მოსწავლეზე ერთი ტექნიკური საშუალება 20%;

ბ) ინტერნეტ წვდომაში შეფერხება 5 %;

გ) არა აქვს 10 მოსწავლეს, ამათგან 7 -ს შეუძენს მშობელი ერთი კვირის განმავლობაში, 3- ს საჭირო დახმარებისთვის გადაეცა შუახევის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურებს.

დასკვნა: მოსწავლეთა საჭიროებებია: გამართული ტექნიკა (მშობლების საზრუნავი), ინტერნეტ წვდომა (სკოლა).

ინტერნეტ წვდომის შეფერხების შემთხვევაში სატელეფონო ქსელის გამოყენება ან დამატებითი შეხვედრების ორგანიზება (სკოლის სასწავლო დარგის ხელმძღვანელი).

ონლაინ სწავლებისთვის მოსწავლეთა მზაობის ხარისხი დამაკმაყოფილებელია. ექვემდებარება ყოველდღიურ მონიტორინგს, რომელის განხორციელების პასუხისმგებლობა აიღო ი.აბულაძემ.

მოსწავლის საჭიროების დადგენა

II კვლევა ცაატარა ლიდერ მასწავლებელთა ჯგუფმა , ხარისხის მართვის კოორდინატორმა

მიზანი: ხანგრძლივი არდადეგებისა და ონლაინ პლატფორმით სწავლების შემდეგ სკოლაში დაბრუნებულ მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა.

კვლევის მეთოდი: ინტერვიუ, დაკვირვება.

კვლევის მონაწილეები: კლასების მიხედვით საგნის მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები.

კვლევის პროცედურა: კლასის დამრიგებლის მიერ სასწავლო ოთახებში სწავლის დაწყების I – II- III დღის დაკვირვების მონაცემების შეგროვება, ანალიზი.

კვლევის შედეგებით გამოვლინდა:

საკლასო ოთახებში სწავლების დადებითი განწყობის მიუხედავად მოსწავლეები პრიორიტეტს ანიჭებენ ჯანმრთელობას. თავისებურებას ქმნიდა ის გარემოება, რომ ჯანმრთელობა და სწავლება ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირდა. დაძაბულობას ქმნიდა ტემპერატურის გაზომვის პროცედურა, ექთნის მიერ განხორცილებულ

საქმინაობაში საგრძნობი იყო ერთმანეთის მიმართ გაუცხოებაც, მორიდება, რასაც ხელს უწყობდა პირბადის ტარება.

კვლევის შედეგის მიხედვით დაიგეგმა ღონისძიებანი:

ტემპერატურის გაზომვის პროცედურაში ექთანთან ერთად ყველასთვის საყვარელი ისტ - ის მასწავლებელი ჩაერთო, რომელიც ხალისიან განწყობას უქმნიდა ბავშვებს და ხელს უწყობდა დაძაბულობის შენელებას.

საგნის მასწავლებლებსა და კლასის დამრიგებლებმა შეძლონ, რომ მოსწავლეთა მიერ სანიტარული უსაფრთხოების წესები გათავსებულ იქნას როგორც ყოველდღიური აუცილებლობა და არა დამთრგუნველი ინფორმაცია.

კლასის დამრიგებლებმა დაგეგმეს კლასში ურთიერთპატივისცემაზე, ურთიერთზრუნვასა და სოციალურ-ემოციური უნარების მართვაზე ორიენტირებული აქტივობები კლასის საჭიროებების მიხედვით. ეს მუშაობა გაგრძელდება სასწავლო წლის მანძილზე.

დაიწყო ფიქრი ახალი ინიციატივების დასანერგად, რომელიც ხელს შეუწყობს ცვალებად სასწავლო რეჟიმთან შეგუებას.